

მეგრელიშვილი თ.¹, ლაშქარაშვილი მ.², ზახაშვილი ხ.²,
ბერიძე ნ.³

როტავირუსული ინფექცია საქართველოში

თსსუ, ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტი¹;
დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი²; შ. რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი³

ინფექციური დიარეები (ნაწლავთა მწვავე ინფექციები) კვლავ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვისთვის. ჯანმო-ს მონაცემებით ინფექციურ დიარეებს მოსახლეობის ავადობის სტრუქტურაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავიათ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი როლი 0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა ლეტალობაში, რასაც ამ დაავადებების მძიმე, გართულებული შემთხვევები განაპირობებენ. ინფექციური დიარეების მრავალფეროვან ეტიოლოგიურ სტრუქტურაში წარმოდგენილია როგორც ბაქტერიული, ასევე ვირუსული გამომწვევები. ავტორთა მონაცემებით, ვირუსულ დიარეებზე მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი მოდის (25,5%-36,9%). მათ შორის როტავირუსული ინფექცია მწვავე გასტროენტერიტების 1/3-ს შეადგენს ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, ნორვეგია, ფინეთი და სხვა [1,2].

0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა კონტიგენტი როტავირუსებით ინფიცირდება ადრეულ პერიოდში და დაავადება გასტროენტერიტის სიმპტომოკომპლექსით გამოვლინდება ჯერ მძიმე, შემდეგ კი მსუბუქი ან ასიმპტომური მიმდინარეობით. სწორედ ამიტომ, როტავირუსული ინფექციის მართვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა პროფილაქტიკური ვაქცინაციის კონცეფციამ, რომლის რეალიზებით მკვეთრად შემცირდა ავადობის მაჩვენებლები და ლეტალური შემთხვევების სიხშირე 0-5 წლამდე ასაკის კონტიგენტში [3,4].

კვლევის მიზანს წარმოადგენდა როტავირუსული ინფექციის პროფილაქტიკის სტრატეგიის შემუშავე-

ბა. მასალა და მეთოდები: როტავირუსული ინფექციის გამოსავლენად საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის, ჯანმო-ს მართვადი ინფექციებისა და ატლანტას დაავადებათა კონტროლის ცენტრის ერთობლივი მონაწილეობით 2006-2013 წლებში ჩატარდა ეპიდზედადამხედველობა ინფექციურ დიარეებზე ბავშვთა კონტიგენტში. შესწავლილი იყო 0-5 წლამდე ასაკის პაციენტებში დიარეების კლინიკური მიმდინარეობა, ფეკალიების ნიმუშების ბაქტერიოლოგიური და ვირუსოლოგიური (სეროლოგიური) კვლევა.

როტავირუსული ინფექციის გამოსავლენად, ფეკალიების სეროლოგიური კვლევა პოლიკლონალური ანტისხეულების გამოყენებით, A ჯგუფის როტავირუსებზე მომდინარეობდა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიაში. შემდგომ, საკონტროლო კვლევისთვის, ნიმუშების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები იგზავნებოდა რეფერალურ ლაბორატორიაში (ქ. მინსკი). ნიმუშების ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა ტარდებოდა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაში.

შედეგები და მათი ანალიზი: შესწავლილი იყო 5046 ჰოსპიტალიზებული პაციენტის ავადმყოფობის ისტორია და ფეკალიების ნიმუში. როტავირუსული ანტისხეულები დადებითი აღმოჩნდა 1482 შემთხვევაში (29%). დაავადება უხშირესად ვლინდებოდა საშუალო და მძიმე კლინიკური მიმდინარეობით, რაც ძლიერი ექსიკოზით იყო განპირობებული და ინტრავენურ რეჰიდრატაციას საჭიროებდა. კვლევის შედეგებით დადგინდა როტავირუსული ინფექციების მაღალი სიხშირე შემოდგომა — ზამთრის თვეებში, ხოლო ენტეროპათოგენური ბაქტერიებით (სალმონელა, შიგელა, ეშერიხია) განპირობებული დიარეები უპირატესად ზაფხულის თვეებში რეგისტრირდებოდა.

დასკვნა: კვლევის შედეგები ადასტურებენ საქართველოს რეგიონში როტავირუსული გამომწვევების ცირკულაციას ბავშვთა კონტიგენტში. 0-5 წლამდე ასაკის ბავშვებში ინფექციური დიარეების 1/3 როტავირუსული ეტიოლოგისაა. როტავირუსული გასტროენტერიტის საშუალო და მძიმე ფორმები, გართულებული მაღალი ხარისხის აქტივობით, საჭიროებენ ჰოსპიტალიზაციას. როტავირუსული ინფექციის პროფილაქტიკის სტრატეგიის შემუშავების შემდეგ, პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდარში შეტანილ იქნა "როტარიქსით" ორდოზიანი ვაქცინაცია (2 თვის და 3 თვის ასაკში).

ლიტერატურა:

1. Kapikian AZ, Chanok RM, 1996 rotaviruses, Field virology, 3 ed. philadelphia, USA;
2. Маргарет М. Кортейзи. Организация эпиднадзора Грузии. 2006, IX
3. В.И. Покровский. В.И Малеев - Проблемы острых кишечных инфекций/ Тер. архив. 2004-С. 5-9
4. Робин Биелик. Европейское отделение. Совецание по организации санэпиднадзора за ротавирусной инфекцией. МЗ Грузии, Тбилиси.. 5.VIII.2006.

Megrelishvili T.¹ Lashkarashvili M.² Zakhashvili Kh.² Beridze N.³

ROTAVIRUS INFECTION IN GEORGIA

TSMU, DEPARTMENT OF INFECTIOUS DISEASES¹; NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH²; SH. RUSTAVELI STATE UNIVERSITY³

Etiological structures of acute diarrheas have been studied in children population 0-5 year of age. 5046 stool samples were carried out and in 1482 (29%) cases rotaviruses were identified (ELISA method). Course of the disease was severe. Children were hospitalized because of exsiccosis. According to the results prophylactic measures were carried out by the way of vaccination. `Rotarix` is the rotavirus vaccine which protects children from rotaviruses and now it is a part of Calendar of National Immunization.

მირველაშვილი ე., ძაგნიძე მ., კიკაჩიშვილი ე.

ვაგინური ინფექციის ეტიოლოგიური სტრუქტურა და ეპიდემიოლოგიური თავისებურებები

თსსუ, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტი

ინფექციურ დაავადებებს წამყვანი ადგილი უჭირავთ სამედიცინო-გინეკოლოგიურ პათოლოგიებში. ამ დაავადებათა ხვედრითი წილი სისტემურად იზრდება და უშუალოდ აისახება საზოგადოების რეპროდუქციულ პოტენციალზე. ვაგინალური ბიოცენოზი წარმოადგენს დინამიურ ეკოსისტემას, რომელიც ადაპტოგენურად იცვლება ფიზიოლოგიური დინამიკის პროცესში. საშოს მიკროეკოლოგიის ნორმის პარამეტრები მეტად ცვალებადი და მობილური სისტემაა და დამოკიდებულია მრავალ გარემოფაქტორებზე: ასაკობრივ, ეთნიკურ, სოციალურ ფაქტორებზე, კვების რაციონზე, ჰიგიენურ კულტურაზე, ქალის ემოციურ-სტრესულ მდგომარეობაზე და ა.შ. [1,2,3].

კვლევის მიზანს შეადგენდა ვაგინური ეკოსტრუქტურის შესწავლა და მიკრობთა ფართო სპექტრის იდენტიფიკაცია 2010-2013 წლების დინამიკაში.

მასალა და მეთოდები: ჩვენს მიერ 2010-2013 წლებში შესწავლილი იქნა 250 ბაქტერიული კულტურა. გამოსაკვლევ მასალას წარმოადგენდა ვაგინური სეკრეტი, რომლის აღებას ვანარმოებდით სპეციალური ერთჯერადი სტერილური ტამპონით, საშოს უკანა თალიდან, გინეკოლოგიური სარკის ჩადგმის შემდეგ. გამოსაკვლევი მასალა ერთდროულად ითესებოდა: სისხლიან აგარზე, ენდოს, პლოსკირევის, ლევისის ნიადაგებზე – ფინჯნებში; 1%-იან შაქრიან ბულიონში და საბუროს აგარზე – სინჯარებში. გამოყოფილი მიკროორგანიზმების შესწავლა ხდებოდა საყოველთაოდ მიღებული მეთოდებით მორფოლოგიური, ტინქტორიული და ბიოქიმიური